

# საზოგადოებრივი მაუწყებლის
# 2025 წლის
# ანგარიში

# პრეამბულა

განვითარების ახალი ეტაპი – 2025 წელი საქართველოს პირველი არხისთვის გამორჩეული იყო.

ზუსტად ერთი საუკუნის წინ, 1925 წელს, საქართველოში პირველი რადიომაუწყებლობა დაიწყო. 2025 წელს საქართველოს რადიო 100 წლის გახდა და ქართული რადიომაუწყებლობის უწყვეტ ტრადიციას – რადიოარხ „საქართველოს რადიოს" არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სიმბოლურია, რომ სწორედ 2025 წელს, მშენებლობის ხუთწლიანი პროცესის დასრულების შემდეგ, პირველმა არხმა ახალი შენობიდან დაიწყო მაუწყებლობა. პოლიტკოვსკაიას №31-ში განთავსებული ორი კორპუსი უახლესი ტექნიკითა და აპარატურით არის აღჭურვილი. გამორჩეული არქიტექტურის, დიზაინისა და დაგეგმარების კორპუსები მასშტაბურ პავილიონებსა და სტუდიებს აერთიანებს. ახალი შენობის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით შეიქმნა ფილმი „მაუწყებლობის 100 წელი".

2025 წელი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის კიდევ ერთ განსაკუთრებულ მოვლენას უკავშირდება - საქართველომ 2025 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს უმასპინძლა.

ღონისძიება საქართველოს კულტურის სამინისტროს, კომპანია Starring Georgia-ს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ორგანიზებით ჩატარდა. შოუში ევროპის 18 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა და 20 ქვეყანაში პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა.

საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს ხმამ, ანიტა აბგარიანმა, 176 ქულით, მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველომ საბავშვო ევროვიზიას უკვე მეორედ უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ საქართველო საბავშვო ევროვიზიის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მონაწილე ქვეყანაა, რომელსაც ოთხჯერ აქვს კონკურსი მოგებული.

## ა ] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

**იხ. დოკუმენტი:** ბმული

## ბ ] მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება №625-ის (ოქმი №536) თანახმად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2022-2025 წლებისა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**იხ. დოკუმენტი:** ბმული

## გ ] მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ

სამაუწყებლო ბადის პროცენტული გადანაწილება მიმართულებების მიხედვით 2025წ.



## პირველი არხი - გადაცემები / პროექტები

- "მასტერშეფი"
- "აკუსტიკა"
- ევროვიზია საბავშვო 2025
- ევროვიზია დიდების 2025
- "მუსიკის 12 მოციქული"
- "მარტივი ლოგიკა"
- "ხალხური"
- "რანინა"
- "წიგნების თარო"
- "ბიზნესპარტნიორი"
- "მოამბე"
- "დებატები"
- "აქტუალური თემა"
- "დღის თემა"
- "ტაიმაუტი"
- "ახალი დღე"
- "დღე პირველ არხზე"
- "დოსიე"
- "ძველი აფიშა"
- "ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია"
- "პირადი ექიმი"
- აკა მორჩილაძის "დაკარგული წიგნები"
- "გამომძიებელი რეპორტიორი"
- ქართული დოკუმენტური ფილმები 1 არხის წარმოება
- დოკუმენტური ფილმები
- მხატვრული ფილმები
- ანიმაციური ფილმები
- ქართული სერიალი
- უცხოური სერიალები
- სპექტაკლები
- კონცერტები

## რადიო - გადაცემები

- „პიკის საათი" /დილა
- „შუადღის პიკი"
- „საღამოს პიკი"
- „ესტაფეტა"
- „ღია სტუდია"
- „სოციალური ღია სტუდია"
- „მრავალფეროვანი საქართველო"
- „ფერმერის დილა"
- „ჩაკრულო"
- „ჩაი ორისთვის"
- „რადიოექსპრესი"
- „უცნობი მუსიკა
- მსოფლიოს ამბები"
- „კლასიკა ყველასთვის"
- „აკუსტიკა"
- „მუსიკის 12 მოციქული"
- „მთელი ეს როკი"
- „რადიოკალენდარი"
- „42 პარალელი"
- „სი ბემოლი"
- „ხადურის პოპ-გაკვეთილები"
- „ახალი მუსიკა კვირიდან კვირამდე"
- „ღამე ოპერაში"
- „რადიოთეატრი" /დადგმები/
- „მესამე ზარი" /სპექტაკლების ჩანაწერები/
- „დაკარგული წიგნები" /ტელეპროექტის აუდიოვერსია/
- საინფორმაციო გამოშვება ყოველი საათის ბოლოს

## „ტელეფილმების" წარმოება:

### დოკუმენტური ფილმი / სერიალი

- „ბანკირის დღიურები“ - იასონ ლორთქიფანიძე
- „ცნობილი აფხაზების უცნობი ისტორიები“ (4 სერია) - ნიკოლას ჩხოტუა
- „ფრაგმენტები ლევან ლაგაზიძის დღიურიდან“
- „თსუ დამფუძნებლები“ - იუსტინე აბულაძე
- „თსუ დამფუძნებლები“ - ნიკო კეცხოველი
- „ბროლი“
- „ბაქანზე გაგონილი ამბები“
- „აკადემიის დრო“

### კოპროდუქცია

- მოკლ. დოკ. ფილმი "კაცების მიწა" - მარიამ ხაჭვანი
- სრულმ. მხატვრ. ფილმი "ცივი ღრუბლები" - კახა კიკაბიძე
- სრულმ. მხატვრ. ფილმი "ღრუბლების იქით" - თეიმურაზ ბაბლუანი/გიორგი ბაბლუანი

### სტუდია „ეპოქა"

- „დაკარგული წიგნები“ - 20 სერია
  (ნოდარ გუგუშვილის წიგნის „მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში -1966 წელი“ მიხედვით).

## პოდკასტი

ბმული

## მრავალფეროვანი საქართველო

- 2025 წლის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, 1tv.ge-ზე ითარგმნებოდა ახალი ამბები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ოთხი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ გადიოდა ეთერში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ნიუსები თავსდებოდა სოციალურ ქსელებში. მიმდინარეობდა „მოამბის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონული თარგმნა ორივე ენაზე;
- საქართველოს რადიოს ეთერში მომზადდა გადაცემა - “მრავალფეროვანი საქართველო”, რომლის ძირითადი თემებია: ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ისტორია, კულტურა, რეგიონები, სამზარეულო და საინტერესო ადამიანები და ა.შ.

# მთავარი სპორტული მოვლენები

## პირველი არხი

- ევრობასკეტი 2025
- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში
- ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში
- ლეგენდების მატჩი
- ფუტსალი - ევრო 2026-ის შესარჩევი მატჩები
- მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში 2025
- ფეხბურთში მსოფლიო საკვალიფიკაციო ჩემპიონატი 2025
- წყალბურთი - საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასზე
- ქალთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში 2025
- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები
- 21 წლამდე საკვალიფიკაციო მატჩები ფეხბურთში
- საქართველოს თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში

## პირველი არხი სპორტი

- ჩოგბურთი - WTA ტური
- კალათბურთი - სერია ა
- ხელბურთი - საქართველოს ჩემპიონატი
- ფუტსალი - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი
- წყალბურთი - მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი
- ფიგურული ციგურაობა - ევროპის ჩემპიონატი
- ჩოგბურთი - დევისის თასი
- ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი
- ჩოგბურთი - იტალიის თასი
- ფეხბურთი - ქალები / უეფას ერთა ლიგა
- ფეხბურთი - U19 ელიტ რაუნდი
- ძიუდო - თბილისის გრანდ სლემი
- ფიგურული ციგურაობა - მსოფლიო ჩემპიონატი
- პარაძიუდო - საქართველოს ჩემპიონატი
- ძალოსნობა - ევროპის ჩემპიონატი
- ძიუდო - ევროპის ჩემპიონატი
- ფრენბურთი - საქართველოს ჩემპიონატის ფინალი (ბიჭები/გოგოები)
- ჩოგბურთი - ATP ჩელენჯერი თბილისი
- მინი ფეხბურთი - მსოფლიო ჩემპიონატი

- ფრენბურთი - ვერცხლის ლიგა
- წყალბურთი - მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი
- ფეხბურთი - მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი
- წყალბურთი - საქართველოს ჩემპიონატის ფინალი
- ფრენბურთი - ვერცხლის ლიგა
- კალათბურთი - ქალები / ევრობასკეტი / ფინალი
- ფეხბურთი - ქალები / ევრო 2025
- ქვიშის ფეხბურთი - ევროპის ლიგის A დივიზიონი
- ფარიკაობა - მსოფლიო ჩემპიონატი
- კალათბურთი - U16 ევრობასკეტი
- რაგბი - ქალები / მსოფლიო ჩემპიონატი
- კალათბურთი - ევრობასკეტი
- წყალსათხილამურო სპორტი - ფოთი პრო ტური
- ფეხბურთი - U21 / ევრო 2027-ის შესარჩევი ჯგუფი
- ჩოგბურთი - დევისის თასი
- კრივი - პროფესიული კრივის საღამო
- კალათბურთი - ესპანეთის სუპერთასი
- წყალბურთი - ევროთასი
- კალათბურთი - ლიგა ACB
- ძიუდო - თბილისის მასტერსი
- ფეხბურთი - საქართველოს თასის ფინალი

## დ ] დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

გარეწარმოება

- შპს „ნოვა პროდაქშენი" – "მასტერშეფი"
- შპს "ვუდენ მანქი" - "ხალხური"
- შპს „შოუ მედია პროდაქშენი" - "მარტივი ლოგიკა"
- შპს „წიგნების თარო" - "წიგნების თარო"
- შპს „ბიზნეს მედია კორპორაცია" - "ბიზნესპარტნიორი"




## ე ] საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ

2023 წელს შიქმნა პირველი ქართული უფასო BVOD პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს სთავზობს პირველი არხის მიერ წარმოებული და შეძენილი პროდუქციისგან შექმნილ ბაზას: სერიალებს, ფილმებს, სატელევიზიო გადაცემებს.

შეიქმნა, სპეციალური პროგრამა „1TVPlayStatistics", რომლის საშუალებითაც მუშავდება BVOD პლატფორმის მომხმარებელთა ქცევა: პროდუქციის ნახვის სიხშირე და ხანგრძლივობა. პროგრამა მოიცავს ბაზას 01.10.2023-დან. დღესდღეობით, 1TVplay-ზე ნახვების რაოდენობამ სამ მილიონს გადააჭარბა (3 430 886); ყურების ხანგრძლივობამ - 2222814:18:22 - შეადგინა.

2025 წელს, პროგრამა „1TVPlayStatistics" დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია (Data live), რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ აუდიტორიის ქცევას 24 საათის განმავლობაში, 1 წუთიანი დროის სეგმენტში.

## ვ ] განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ:

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2025 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში", როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების მექანიზმით გათვალისწინებული საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2025 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

## ზ ] საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ:

2025 წლის განმავლობაში საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვა არ განხორციელებულა.

## თ ] საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ:

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოები.

## ი ] საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2026 წლის ბიუჯეტის საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2026 - 31.12.2026

ვალუტა: ლარი

| | |
|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1,565,850 |
| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | 71,608,288 |
| საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი | 39,200,853 |
| ფინანსური ხარჯი | 2,077,373 |
| **მთლიანი ბიუჯეტი:** | **114,452,364** |

## 3 ] საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ - 2025 წლის ანგარიში

### ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2025 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 109,772,789 ლარი.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2025 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 95,354,527 ლარი. აქედან, 84,245,734 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, 929,832 ლარი - კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა, ხოლო არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა - 10,178,961 ლარი. 2025 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 99,124,202 ლარი.

2025 წლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 37,403,882 ლარს, ხოლო დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 32,477,029 ლარი.

2025 წლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

#### ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| საერთო და ადმინისტრაციული | 1,517,850 | 1,157,178 | 360,672 | 76.2% |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 785,065 | 801,753 | (16,689) | 102.1% |
| საერთო და ადმინისტრაციული | 8,685,134 | 7,650,468 | 1,034,665 | 88.1% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 13,580,251 | 13,272,345 | 307,906 | 97.7% |
| მედია | 18,656,248 | 14,890,271 | 3,765,977 | 79.8% |
| ტექნიკური ხარჯი | 11,705,126 | 13,469,434 | (1,764,308) | 115.1% |
| ონლინ მედია | 1,187,268 | 1,135,962 | 51,306 | 95.7% |
| სხვა სამაუწყებლო ხარჯი | 6,237,553 | 4,619,554 | 1,617,999 | 74.1% |
| საინვესტიციო ხარჯი | 27,052,366 | 21,821,236 | 5,231,129 | 80.7% |
| ფინანსური ხარჯი | 21,883,779 | 21,463,177 | 420,602 | 98.1% |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **111,290,639** | **100,281,380** | **11,009,259** | **90.1%** |

წლის განმავლობაში სამეურვეო საბჭოზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1,157,178 ლარი.

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2025 წლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 10,648,587 ლარით ნაკლები (9,7%-ით ნაკლები). ცალკეული მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტირებულსა და ფაქტიურ გაწეულ საკასო ხარჯებს შორის სხვაობისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული გრაფიკი.

## ბიუჯეტის შესრულება, 2025 წ.




რაც შეეხება დეტალურ განმარტებებს, თუ რამ გამოიწვია განსხვავება დაგეგმილ და შესრულებულ პარამეტრებს შორის, მოცემულია შემდეგი ცხრილის სახით:

| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | თანხა | განმარტება |
|---|---|---|
| **სამეურვეო საბჭო** | 360,672 | მოგეხსენებათ, სამეურვეო საბჭოს N621 გადაწყვეტილების მიხედვით, საბჭოს ბიუჯეტიდან (მთლიანი ბიუჯეტის 1.5%) 2025 წლის ბოლოსთვის დარჩენილი რესურსი მიემართა საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა პრემირებაზე. თუმცა, ფაქტობრივად ამ თანხის ასახვა ხდება კონკრეტულად იმ მუხლებში (ბლოკებში), სადაც გაიხარჯა. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მუხლში ფიქსირდება ეკონომიის სახით. |
| **კომუნალური ხარჯი** | 310,599 | დაფიქსირდა ეკონომია |
| **ავტოპარკი** | 687,879 | ამ თანხის ძირითადი ნაწილი - 500 ათასი ლარი, რომელიც ავტოპარკის განახლებისთვის იყო განსაზღვრული - გადატანილია 2026 წლის ბიუჯეტში. დანარჩენი ეკონომია დაკავშირებულია ავტოპარკის მომსახურებაზე ნაკლები ხარჯის გაწევასთან. |
| **გარეწარმოება** | 1,856,103 | პროექტების საწარმოო გეგმების მიხედვით, თანხის ათვისება მოხდება 2026 წელს |
| **მხატვრული ტელესერიალები** | 1,000,000 | სერიალის წარმოება მიმდინარეობს ტელევიზიის საკუთარი რესურსით, ამიტომ გარეწარმოების ნაწილში ფიქსირდება დანაზოგი და ეს თანხა ნაწილდება სხვადასხვა მუხლებში (მივლინებები, იჯარები, მსახიობების ჰონორარები და ა.შ.) |
| **შესყიდვები მედია** | 917,765 | ამ დანაზოგში პროცენტულად ყველაზე დიდი წილი უჭირავს საბავშვო ევროვიზიის მასპინძლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც დაგეგმილზე დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარით ნაკლები დაიხარჯა. ასევე, ვინაიდან მუხლიც მიბმულია პროექტების საწარმოო გეგმებზე, ხარჯვა გათვალისწინებულია 2026 წლის ბიუჯეტში. |

| | | |
|---|---|---|
| **სხვა სამაუწყებლო ხარჯი** | | მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ლიცენზიის საფასური ანაზღაურდება 2026 წელს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზია შეიძინა სხვა იურიდიულმა პირმა და შესაბამისად, მისი გადახდა აღარ არის გათვალისწინებული. |
| მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი | 590,222 | |
| მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში 2026 | 960,000 | |
| **საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | | |
| მშენებლობის ხარჯი | 1,834,036 | ერთ-ერთი კონტრაქტორის მხრიდან ვერ მოხდა დაგეგმილ ვადებში სამუშაოების განხორციელება (რაზეც მას ერიცხება პირგასამტეხლო). |
| პროექტირების და ზედამხედველობის ხარჯი | 174,670 | მიბმულია სამუშაოების შესრულებაზე და შესაბამისად, აქაც დაფიქსირდა ჩამორჩენა ათვისებაში. |
| საინვესტიციო პროექტების რეზერვი | 3,000,000 | ეს თანხა ისედაც რეზერვისთვის იყო გათვალისწინებული და არ იგეგმებოდა მისი დახარჯვა. |
| **პროგრამული უზრუნველყოფა - გრძელვადიანი** | -1,305,301 | ამ შემთხვევაში კონკრეტული ხარჯი, ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე, დააკლდა საინვესტიციო საქმიანობის მუხლს, მაგრამ დაემატა საოპერაციო საქმიანობის მუხლს. უფრო დეტალურად კი ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებას: შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა ნაცვლად გრძელვადიანისა, კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი, შესაბამისად, ამ მუხლში დაფიქსირდა დანაზოგი. თუმცა, "ტექნიკური ხარჯის" მუხლში, რომელშიც შედის მოკლევადიანი ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯი, დაფიქსირდა გადახარჯვა. ჯამურად, ხარჯი დაბალანსებულია და ჯდება წლიურ პარამეტრებში. |

## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 34,833,238 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 34,303,414 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 529 824 ლარით ნაკლები შეადგინა.

### 2025 წლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 785,065 | 801,753 | (16,689) | 102.1% |
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 3,121,563 | 3,159,672 | (38,109) | 101.2% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 11,589,718 | 11,354,945 | 234,774 | 98.0% |
| მედია | 9,735,159 | 9,677,672 | 57,486 | 99.4% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 8,487,520 | 8,350,016 | 137,505 | 98.4% |
| ონლაინ მედია | 1,014,213 | 959,357 | 54,856 | 94.6% |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 100,000 | - | 100,000 | 0.0% |
| **ჯამი:** | **34,833,238** | **34,303,414** | **529,824** | **98.5%** |

## ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ




## ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ

2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 1,134,153 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 1,166,734 ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 32,581 ლარით მეტია.

ხარჯი ნაწილდება შემდეგნაირად:

### ᲡᲐᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲝ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ:

| | ᲒᲔᲒᲛᲐ | ᲤᲐᲥᲢᲘ | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ |
|---|---|---|---|
| ადმინისტრაცია და მენეჯმენტი | 101,610 | 122,032 | (20,422) |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 605,675 | 617,198 | (11,524) |
| მედია | 417,656 | 423,034 | (5,378) |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 9,213 | 4,470 | 4,743 |
| **ᲯᲐᲛᲘ:** | **1,134,153** | **1,166,734** | **(32,581)** |

## მივლინება 2025




### საინვესტიციო ხარჯი:

2025 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 21,821,236 ლარის კაპიტალური ხარჯი:

| | |
|---|---|
| ახალი შენობის მშენებლობა | 12,746,367 |
| ტექნიკური აღჭურვა | 5,542,340 |
| არამატერიალური აქტივი | 1,808,648 |
| სხვა საინვესტიციო ხარჯი | 1,723,882 |

### ფინანსური ხარჯი:

2025 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 21,463,177 ლარის ფინანსური ხარჯი:

| | |
|---|---|
| საგადასახადო გადასახდელები | 1,609,294 |
| სესხის მომსახურება | 19,404,078 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 449,805 |

## კომერციული შემოსავლები

2025 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 11,108,793 ლარი.

### 2025 წლის კომერციული შემოსავლები

| ანგარიში | ჯამი |
|---|---|
| **სახელმწიფო ასიგნება** | **84,245,734** |
| **კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | **929,832** |
| რეკლამიდან მიღებული შემოსავალი | 405,401 |
| სპონსორობა | 472,287 |
| პროდაქტ ფლეისმენტი | 18,000 |
| ტექნიკური მომსახურება | 26,000 |
| საარქივო მომსახურება | 8,144 |
| **სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი** | **10,178,961** |
| ქონების რეალიზაციიდან შემოსავალი | 5,853,300 |
| დეპოზიტის პროცენტი | 3,808,312 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | 517,350 |
| **სულ საკასო ფულადი ნაკადები** | **95,354,527** |
| **სულ საკასო ხარჯი** | **100,281,380** |

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

# დანართი N1

| | |
|---|---|
| **საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | **55,839,789** |
| **გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები** | **801,753** |
| შრომის ანაზღაურება | 801,753 |
| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი** | **7,650,468** |
| შრომის ანაზღაურება | 3,159,672 |
| მივლინება | 122,032 |
| მარკეტინგი | 200,016 |
| კომუნალური ხარჯი | 2,428,332 |
| ავტოპარკი | 490,700 |
| საოფისე ხარჯი | 1,177,996 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 71,720 |
| **ახალი და მიმდინარე ამბები** | **13,272,345** |
| შრომის ანაზღაურება | 11,354,945 |
| მივლინება | 617,198 |
| უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება | 534,764 |
| **მედია** | **14,863,365** |
| შრომის ანაზღაურება | 9,650,767 |
| მივლინება | 4,470 |
| ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯი | 2,422,658 |
| **ონლაინ მედია** | **1,135,962** |
| შრომის ანაზღაურება | 959,357 |
| მივლინება | 57,903 |
| ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯი | 12,739 |
| **საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | **21,821,236** |
| **ახალი შენობის მშენებლობა** | **12,746,367** |
| მშენებლობის ხარჯი | 11,445,854 |
| ზედამხედველობის ხარჯი | 175,106 |

| | |
|---|---|
| ინვენტარი/ავეჯი | 1,125,406 |
| **ტექნიკური აღჭურვა** | **5,542,340** |
| კომპიუტერული ტექნიკა | 183,665 |
| სტუდიური აპარატურა | 5,329,349 |
| პროგრამული უზრუნველყოფა - გრძელვადიანი | - |
| სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა | 29,326 |
| **არამატერიალური აქტივი** | **1,808,648** |
| მექანიკური პროდუქცია | 1,808,648 |
| **სხვა საინვესტიციო ხარჯი** | **1,723,882** |
| სტუდიის დეკორაცია | 1,723,882 |
| საინვესტიციო პროექტების რეზერვი | - |
| **ფინანსური ხარჯი** | **21,463,177** |
| **საგადასახადო გადასახდელები** | **1,609,294** |
| დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის) | 1,584,682 |
| ქონების გადასახადი | - |
| მიწის გადასახადი | 5,853 |
| მოგების გადასახადი | 18,758 |
| **სესხის მომსახურება** | **19,404,078** |
| **სხვა ფინანსური ხარჯი** | **449,805** |
| სახელმწიფო ბაჟი | - |
| საჰონორარო ხარჯი | - |
| კომპენსაცია/სხვა დავალიანებები | - |
| საავტორო უფლებები | 449,805 |
| **ფინანსური ხარჯი** | **1,157,178** |
| **ჯამი:** | **100,281,380** |

## ლ] შიდა და გარე აუდიტების დასკვნები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის შიდა და გარე აუდიტორული ანგარიშები წარმოდგენილია დანართის სახით ( იხ. დანართი N1 და დანართი N2).